სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 დეკემბერი, 2025 წელი

ბრძანება № 01-02/230

ბსუ-ს პროფესიული პროგრამის ,,აღმზრდელი" პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენისათვის სამუშაო ჯგუფის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №98/ნ ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 20 ნოემბრის №01-08/852 ბრძანების, ,,გარე მობილობის ფარგლებში სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე "აღმზრდელი" (მე-5 დონე) პროფესიულ სტუდენტ ლალი გიორგაძის ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 დეკემბრის №01-08/892 ბრძანების, ,,გარე მობილობის ფარგლებში სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე "აღმზრდელი" (მე-5 დონე) პროფესიულ სტუდენტ დალი არძენაძის ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 დეკემბრის №01-08/893 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელი" (მე-5 დონე) სტატუსშეჩერებულ პროფესიულ სტუდენტ დიანა დოლიძის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 19 დეკემბრის №01-08/911 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელი" (მე-5 დონე) სტატუშეჩერებულ პროფესიულ სტუდენტ ნათია ყურშუბაძის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ" შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 19 დეკემბრის №01-08/905 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის №1817585 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამის **,,აღმზრდელი"** სასწავლო პროცესში დაბრუნებული სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის მიზნით **შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (კომისია), შემდეგი შემადგენლობით:**
   ა) **მამუკა გოგელია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
   ბ) **რუსუდან ცინცაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელი" ხელმძღვანელი;

გ) **მარინე ბეჟანიძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიული განათლების მასწავლებელი;
დ) **ნინო ცინცაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიული განათლების მასწავლებელი.

2. ამ ბრძანებით შექმნილმა კომისიამ იმუშაოს 2025 წლის **23 დეკემბერს,** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, VI კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №305), ხოლო ინდივიდუალური გეგმები ეცნობოს პროფესიულ სტუდენტებს **2025 წლის 24 დეკემბერს**.
3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა ამ ბრძანების აღსრულების მიზნით უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მ. ხალვაში), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**